



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური

მოსკოვის საპატრიარქო

სსკგ-ის თავმჯდომარემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს ქრისტეს შობის დღესასწაული მიულოცა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 07.01.2024. მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ საშობაო მისალოცები გაუგზავნა ანტიოქიის უნეტარეს პატრიარქ იოანე X-ს, იერუსალიმის უნეტარეს პატრიარქ თეოფილეს III-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, სერბეთის უწმინდეს პატრიარქ პორფირეს, რუმინეთის უნეტარეს პატრიარქ დანიელს, ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქ ნეოფიტეს, ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოს ანასტასის, ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარეს მიტროპოლიტ საბას, ჩეხეთის მინებისა და სლოვაკეთის უნეტარეს მიტროპოლიტ როსტისლავს, სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარეს მიტროპოლიტ ტიხონს, ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარეს მთავარეპისკოპოს სტეფანეს.

მილოცვაში, კერძოდ, ნათქვამია:

გულითადად გილოცავთ ქვეყნიერების უფლისა და მაცხოვრის ხორციით შობის ნათელ დღესასწაულს.

დღეს ქრისტე იშვების ბეთლემს ქალწულისაგან; დღეს დაუსაბამო დასაბამიერ იქნების, და სიტყვა სხეულ-იქმნების (შობის დღესასწაულის აქებდითსა ზედა დასადებელი).

ამ დიდ და ნათელ დღეს შედგა სამება ღმერთის უწინარეს საუკუნეთა ბჭობის აღსრულება კაცობრიობის ხსნასთან დაკავშირებით. ძე ღმერთისა განხორციელდა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისგან, თავი დაიმცირა, მონის ხატი შეიმოსა (ფილიპ. 2:7), რათა განეკურნა დაცემული ადამიანური ბუნება, გამოეხსნა ადამიანები ცოდვისა და სიკვდილის მარნუხებისგან და გაეხადა ისინი საღმრთო ბუნების თანაზიანი (2 პეტ. 1:4).

სამყაროში ჩვილი ქრისტეს მოსვლა გვიხსნის შემოქმედი ღმერთის უსაზღვრო სიყვარულის საიდუმლოს მისი ქმნილებისადმი, გვინერგავს ღვთის მოწყალების იმედსა და მტკიცე სასოებას.

ლოცვით ვისურვებ, რომ ამ სულიერი ზეიმის უხრწნელმა ნათელმა აავსოს თქვენი გულები სიმშვიდითა და სიხარულით სულიწმიდის მიერ და გიბოძოთ ძალთა სიუხვე მრავალ შრომატევად სანინამძღვრო ჯვრის ტარებაში.

მოკრძალებითა და უფალში სიყვარულით,

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების

განყოფილების თავმჯდომარე,

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/91212/>